სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

წლიური ანგარიში 2013

წარედგინება საქართველოს პარლამენტს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად

შინაარსი

იურიდიული დახმარების სისტემა 3

რეფორმის მიმოხილვა 3

ძირითადი ფაქტობრივი მონაცემები 4

სამსახურის სტრუქტურა 7

გაწეული მომსახურება 8

წარმატებული საქმეები 8

სტატისტიკა 9

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა 13

ახალი ოფისები მარნეულსა და მესტიაში 13

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვა 14

იურიდიული დახმარების ხარისხი 14

სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტი: კომპიუტერული პროგრამა და საქმეთა განაწილების სისტემა 15

ტრენინგები 15

იურიდიული კლინიკა 17

საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები 18

ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემა 18

საზოგადოებრივი ურთიერთობები: თანამშრომლობა სახელმწიფო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან 19

სოციალური მუშაკები უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს გაეცნენ 19

იურიდიული კონსულტაცია პრობაციონერებისათვის 19

სამუშაო შეხვედრები სამეგრელოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ 20

სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში მონაწილეობა 20

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესები გაიმართა 21

სემინარები საჯარო სკოლებში 21

გასვლითი კონსულტაციები რეგიონებში 22

თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან 23

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან 24

საერთაშორისო თანამშრომლობა 24

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობენ 24

დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა 25

იურიდიული დახმარების სამსახური დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა 25

ფინანსური ანგარიში 2013 27

იურიდიული დახმარების სისტემა

რეფორმის მიმოხილვა

საქართველოში იურიდიული დახმარების რეფორმა 2004 წელს დაიწყო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების კონცეფცია შეიმუშავა. საქართველოს სახელმწიფომ ახლებურად შეაფასა კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც დაცვის უფლების გარანტირებაზე საუბრობს და საკმაოდ დისკრედიტებული იურიდიული დახმარების ე.წ. სახაზინო ადვოკატის სისტემის რეფორმა დაიწყო. რეფორმის დეტალები საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS-ის მხარდაჭერით შემუშავებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაშიც აისახა. სტრატეგიას 2005 წლის 9 ივლისს, პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცების შემდეგ, ოფიციალური ძალა მიეცა. იმავე წელს პილოტური საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ამოქმედდა.

2005 წლის 17 თებერვალს, იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური შეიქმნა. პილოტური პროექტის ფარგლებში გაიხსნა ორი ტერიტორიული ბიურო: თბილისში — გლდანი-ნაძალადევის რაიონსა და ზესტაფონში. ამ ოფისებში დასაქმებული ადვოკატები ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის დაცვას ახორციელებდნენ სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე. სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციათა და სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი პარალელურად იურიდიული დახმარების შესახებ კანონის პროექტზე მუშაობდა. იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პროცესში თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართული "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ფონდი "ღია საზოგადოება — საქართველო", "IRIS — საქართველო" და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა იურიდიული დახმარების შესახებ კანონი მიიღო, რაც რეფორმის ახალი ფაზის დასაწყისად იქცა. კანონის საფუძველზე და საპილოტე საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურისა და მისი ორი ბიუროს ბაზაზე იურიდიული დახმარების სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში 2007 წლის ივლისში შეიქმნა. 2007 წლის ბოლოს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამატებით 8 იურიდიული დახმარების ბიურო, ხოლო 2008 წელს - 2 საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა.

2009 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურმა ფუნქციონირება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში განაგრძო. იმავე წელს ამოქმედდა უფასო იურიდიული დახმარების გაწევის კიდევ ერთი მოდელი - მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი, რომლის მეშვეობითაც, კერძო ადვოკატები, საბიუჯეტო დაფინანსების საფუძველზე, კანონით დადგენილ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან. 2010 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ორი ოფისი გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინსვლას ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მომდევნო წლებში დამატებითი ოფისები წალკასა და მარნეულში, ასევე მესტიაში გაიხსნა.

იმ ფონზე, რომ სახელმწიფომ რამდენჯერმე გადაავადა უფასო საადვოკატო მომსახურების დანერგვა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ბოლო წლებში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება მაინც მოხერხდა. პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა იმ ბრალდებულებისა და მსჯავრებულებისათვის, რომელთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართლაწარმოება. 2011 წლის მარტიდან კი იურიდიული

დახმარების სამსახურის ადვოკატები ერთვებიან იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, რომლებზედაც ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

2013 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარება 4 პრიორიტეტული მიმართულებით გაგრძელდა. ესენია: (1) იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, (2) მაღალი ხარისხის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა, (3) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და (4) დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მიღწეულ შედეგებს შორის აღსანიშნავია, რომ მარნეულსა და მესტიაში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა. გარდა ამისა, სამსახურმა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვის შესახებ კონცეფცია წარმოადგინა. მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა „სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“ შეიმუშავა, ასევე ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემის პილოტირება განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ბოლოს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლება იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერების ინიციტივიათ გამოვიდა. 2013 წლის დეკემბერში, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამსახური სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გამოეყო და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. ამით, იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

ძირითადი ფაქტობრივი მონაცემები

ოფისები და თანამშრომლები:

- <u>იურიდიული დახმარების ბიურო:</u> ოფისი, სადაც მუშაობენ ადვოკატები და კონსულტანტები. ოფისს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით 11 ბიურო ფუნქციონირებს: თბილისში, მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში.
- <u>საკონსულტაციო ცენტრი:</u> ოფისი, სადაც დასაქმებულია მხოლოდ კონსულტანტი. დღეისათვის, 6 საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს: ოზურგეთში, ამბროლაურში, ახალქალაქში, წალკაში, მარნეულსა და მესტიაში.
- <u>ცენტრალური აპარატი:</u> ოფისი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციულ—ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს.
- <u>თანამშრომელთა რიცხოვნობა:</u> 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო რიცხვონობა განისაზღვრება 187 საშტატო ერთეულით. აქედან, 50% ადვოკატია, 15% კონსულტანტი, 5% სპეციალისტი, 11% ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, ხოლო ტექნიკური პერსონალი 19%-ს შეადგენს.



მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი:

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების განხორციელების ერთ–ერთი საშუალებაა. იგი 2009 წლის მაისში შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და ფუნქციონირებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ორი ან რამდენიმე, საპირისპირო ინტერესების მქონე პირი მიმართავს. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მხოლოდ ერთ პირს დაიცავს, ხოლო სხვა პირს (პირებს) დამცველად რეესტრის ადვოკატი (ადვოკატები) დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეესტრში 73 კერძო ადვოკატი ირიცხება. 2013 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს 298 სისხლის სამართლის საქმეში.

რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის (დღე–ღამის დროის გათვალისწინებით). გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღწეული შედეგი (საქმეთა კატეგორიების – ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე – გათვალისწინებით).

2010 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა თითოეულ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული ანაზღაურების ნიხრები 50%–ით გაზარდა. ანაზღაურებადი გახდა ისეთ საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა, რომლებიც, ადრე არსებული რეგულაციებით, ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა. გამარტივდა ანაზღაურების გაცემის პროცედურებიც. 2013 წელს, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის

მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა დაიხვეწა, განახლდა ადვოკატებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, დაზუსტდა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა სიები და მათი სამოქმედო ტერიტორიები.

სამსახურის მანდატი

2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე; სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულისათვის;
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელსაც შეიძლება სანქციის სახით დაპატიმრება მოჰყვეს.

სამსახურის სტრუქტურა



გაწეული მომსახურება

წარმატებული საქმეები

2013 წელს საზოგადოებრივ ადვოკატების ძალისხმევით, არაერთი სისხლის სამართლის საქმე წარმატებით დასრულდა. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

- საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, ამნისტიის პირობები მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა. იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ელისო რუხაძის ძალისხმევით, მსჯავრდებული ტარიელ კ., რომელსაც, ამნისტიის შემდეგ, კიდევ ხუთწლიანი სასჯელის მოხდა უწევდა, სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის, ძალისხმევით არასრულწლოვანი გიორგი კ., რომელსაც, სასჯელის სახით 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ცირა გამცემლიძის ძალისხმევით, ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე, ყაჩაღობისთვის მსჯავრდებული გოჩა ა., რომელსაც ამნისტიის შემდეგ 3 წელი კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა, სასჯელის მოხდისგან განთავისუფლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ცირა გამცემლიძის ძალისხმევით, არჩილ გ., რომელიც ყალბი დოკუმენტების დამზადება–გამოყენების ბრალდებით იძებნებოდა, სასამართლოს მიერ გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ცირა გამცემლიძის ძალისხმევით, არასრულწლოვან თამაზ დ.–ს, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ჩადენის მცდელობისათვის 13–დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა და, ჯარიმისა და პირობითი სასჯელის გარეშე, მსოლოდ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, მარიკა გერსამიას ძალისხმევით, გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული და ამავე დანაშაულისთვის ადრე ნასამართლევი ო.მ., რომელსაც 9–დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- საზოგადოებრივი ადვოკატების ძალისხმევით, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული გამართლდა. კერძოდ, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების მოსმენისა და შეფასების შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა ბესიკ ბ. განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს, ხოლო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ორი ან მეტი პირის მიმართ – გაამართლეს. ბესიკ ბ.–ს იურიდიული დახმარების სამსახურის იმერთის–ქუთაისის ბიუროს ადვოკატები, გელა სიორდია და ხვიჩა თავაძე იცავდნენ.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, იმედა ქარქაშაძის ძალისხმევით, ირაკლი ნ., რომელსაც ძარცვის მცდელობისათვის 5–დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- საზოგადოებრივი ადვოკატების – სულხან კომახიძის, პაატა მეხრიშვილისა და ნატო ჩიხლაძის ძალისხმევით, ხულიგნობაში ბრალდებულის, ნიკა ბ.–ის, და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის, გიორგი ბ.–ის, მიმართ ნაფიცმა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს.


წარმოებაში მიღებული საქმეები
14000
12000
10000
8000
6000
4000
2000
0
11196
9291
10140
8633
7173
11764
2008
2009
2010
2011
2012
2013


2013: შემოსული საქმეები (სულ 11764)
თბილისი
მცხეთა-მთიანეთი
შიდა ქართლი
ქვემო ქართლი
კახეთი
ზესტაფონი
ქუთაისი
ზუგდიდი
ფოთი
აჭარა
ახალციხე
46%
6%
4%
12%
4%
2%
13%
3%
2%
6%
2%


არასრულწლოვანთა დაცვა
800
700
600
500
400
300
200
100
0
486
604
685
505
284
368
2008
2009
2010
2011
2012
2013


საპროცესო შეთანხმებათა წილი
2010
2011
2012
2013
45
55
68
32
66
34
52
48
0%
20%
40%
60%
80%
100%
საპროცესო შეთანხმება
სხვა შედეგი


I ინსტანციის სასამართლოში გამამართლებელი
განაჩენით დასრულებული საქმეები
2011
2012
2013
18
28
28
62
6
31
0
20
40
60
80
100
საზ. ადვოკატი
კერძო ადვოკატი


მომართვები საზ. ადვოკატის გამოყოფაზე
2%
16%
24%
27%
31%
ფიზ. პირი
გამოძიება
პროკურატურა
სასამართლო
სასჯელაღსრულება


კონსულტაციები და დოკუმენტები
20000
18000
16000
14000
12000
10000
8000
6000
4000
2000
0
4765
8076
12005
15495
17557
17971
1134
2279
2950
4700
5338
5572
კონსულტაციები
დოკუმენტები
2008
2009
2010
2011
2012
2013


2013: კონსულტაციები (სულ 17971)
თბილისი
მცხეთა-მთიანეთი
შიდა ქართლი
ქვემო ქართლი
კახეთი
ზესტაფონი
ქუთაისი
ზუგდიდი
ფოთი
აჭარა
ახალციხე
ოზურგეთი
ამბროლაური
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
14%
10%
5%
4%
4%
9%
15%
11%
8%
2%
3%
4%
2%
7%
3%
1%


კონსულტაციის მიმღებთა სქესი
43%
57%
ქალი
კაცი


კონსულტაციის მიმღებთა ასაკი
1%
15%
42%
42%
18-მდე
18-30
30-50
50-ზე უფროსი



იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

ახალი ოფისები მარნეულსა და მესტიაში

სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იურიდიული დახმარების სამსახურის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. სამსახურის პირველი ბიუროები თბილისსა და ზესტაფონში, პილოტურ რეჟიმში, უკვე 2005 წელს ამოქმედდა. 2007 წლის ბოლოს დამატებით 8 ბიურო თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში გაიხსნა. ხოლო, 2008 წელს – ოზურგეთსა და ამბროლაურში საკონსულტაციო ცენტრები ამოქმედდა.

შემდეგ დღის წესრიგში დადგა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა გაეროს განვითარების პროგრამის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. 2010–11 წლებში, UNDP–ის მხარდაჭერით ახალციხეში გაიხსნა იურიდიული დახმარების ბიურო, ხოლო ახალქალაქსა და წალკაში – საკონსულტაციო ცენტრები.

2013 წლის მაისში, კვლავ გაეროს განვითარების პროგრამის ტექნიკური დახმარებით კიდევ ერთი საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა მარნეულში. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ოფისი სასჯელაღსრულების მინისტრმა, სოზარ სუბარმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელმა, ჯეიმი მაკგოლდრიკმა გახსნეს.

საკონსულტაციო ცენტრში დასაქმდა კონკურსის გზით შერჩეული იურისტი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სამართლის ნებისმიერ დარგში კვალიფიციურ რჩევებს აძლევს და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენად, იურიდიულ დოკუმენტებს უდგენს. მარნეულის მუნიციპალიტეტში 130 000 მოსახლე ცხოვრობს. მათი 85% ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. ამის გათვალისწინებით, იურიდიული კონსულტაციის მიღება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე.

2013 წლის დეკემბერში, UNDP–ის მეშვეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის რიგით მე–6 საკონსულტაციო ცენტრი მესტიაში ამოქმედდა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვა

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხი როგორც ახალი ოფისების გახსნას, ისე სერვისების გაფართოებას გულისხმობს. იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, 2015 წლიდან სახელმწიფომ უფასო საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც უნდა უზრუნველყოს. 2013 წლის 29 ივლისს ამ საკითხს სამუშაო შეხვედრა მიეძღვნა.

იურიდიული დახმარების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა დირექტორის ხელმძღვანელობით შეიმუშავა და წარმოადგინა პილოტური პროექტის კონცეფცია, რომელიც სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი საადვოკატო მომსახურების დანერგვას ითვალისწინებს. სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ადვოკატთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, მოსამართლეები და საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით ჩატარდა.

შეხვედრა UNDP–ის ექსპერტის, კახა წიქარიშვილის მოხსენებით დაიწყო. მან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის კუთხით საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიმოიხილა. წიქარიშვილის განმარტებით, ამ სერვისის მიწოდებისას, მთავრობები ბენეფიციართა წრეს და საქმეთა კატეგორიებს ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით ადგენენ. თუმცა, ადვოკატის დანიშვნამდე, ყველა სახელმწიფო ამოწმებს აპლიკანტის ფინანსურ მდგომარეობას, ასევე განიხილავს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მიზანშეწონილობას.

საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება 2007 წლიდან აიღო, თუმცა მისი შესრულება 2015 წლამდე გადაავადა. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი იურიდიულ დახმარებას მიზნობრივ სერვისად განიხილავს, რაც იმას ნიშნავს, რომ უფასო ადვოკატის მომსახურება გადახდისუუნარო პირმა უნდა მიიღოს.

დღეისათვის, იურიდიული დახმარების სამსახური სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მხოლოდ კონსულტაციების გაწევითა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით შემოიფარგლება. 2013 წლის სტატისტიკის მიხედვით, გაწეული კონსულტაციების 53% – სამოქალაქო სამართლის, 24% კი ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს ეხება.

იურიდიული დახმარების ხარისხი

იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა მენეჯმენტის დახვეწითა და ადვოკატთა პროფესიული განვითარებით მიიღწევა. ამ მხრივ 2013 წელს სამსახურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა: დაინერგა საქმის წარმოების ახალი კომპიუტერული პროგრამა და ადვოკატებს შორის სისხლის სამართლის საქმეთა განაწილების

ახალი სისტემა, ჩატარდა ტრენინგები, შემუშავდა საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის სახელმძღვანელო წესები და მოხდა შეფასების სისტემის პილოტირება.

სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტი: კომპიუტერული პროგრამა და საქმეთა განაწილების სისტემა

2013 წელს იურიდიული დახმარების სამსახურში, სისხლის სამართლის საქმეების მენეჯმენტის დახვეწის მიზნით, ახალი კომპიუტერული პროგრამა CaseBank დაინერგა.

CaseBank–ი სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ, ამარტივებს ბიუროს უფროსის, ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების საქმიანობის ორგანიზებას; დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს; უზრუნველყოფს ხარისხისა და დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას. პროგრამა მოიცავს კალენდარს, რომელიც ადვოკატს საქმეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვადებისა და მოვლენების შესახებ შეახსენებს. ადვოკატს შეუძლია მარტივად ატვირთოს თავისი შედგენილი დოკუმენტი და საქმესთან ერთად შეინახოს პროგრამაში.

პროგრამა მოსახერხებელია სტატისტიკური მონაცემების გენერირების თვალსაზრისით. მისი მეშვეობით იურიდიული დახმარების ბიუროსა და ადვოკატის მიერ გაწეული საქმიანობა შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმების, მათ შორის, დანაშაულის კატეგორიის, დასაცავ პირთა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, საქმის სტადიის, საქმეების რაოდენობისა და შედეგების, აგრეთვე მომართვის წყაროს მიხედვით დახარისხდეს. პროგრამაში დაცულია საქმესთან დაკავშირებით შექმნილი ყველა დოკუმენტი.

CaseBank–ში მუშაობის საკითხზე საორიენტაციო ტრენინგები ყველა ადვოკატმა და კონსულტანტმა გაიარა. სისხლის სამართლის საქმეების მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა ფონდ "ღია საზოგადოება — საქართველოს" და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელდა.

სისხლის სამართლის საქმეთა ადმინისტრირების კუთხით მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა სიმრავლითა და ადვოკატთა დიდი დატვირთვით გამოირჩევა. ბიუროში ამოქმედდა საქმეთა განაწილების ახალი სისტემა, რომელიც, მანამდე არსებულ წესთან შედარებით, ადვოკატებისადმი უფრო სამართლიან და მოქნილ მიდგომას ეფუძნება. დირექტორის ბრძანების თანახმად, სამუშაო დროის განმავლობაში საქმეთა განაწილება ხორციელდება ადვოკატთა რიგითობის წესის დაცვით, რომელიც ანბანური პრინციპით განისაზღვრება. არასამუშაო დროს კი წარმოებს ადოკატთა მორიგეობა. ამასთან, არასრულწლოვანთა საქმეები ნაწილდება სპეციალიზებულ ადვოკატებზე. ადრე ნაწარმოები საქმეები კი საქმეში თავდაპირველად ჩართულ ადვოკატს უბრუნდება. საქმეთა განაწილების სისტემის მიზანია მაღალი ხარისხის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა, რაც ადვოკატების დატვირთვის თანაბრობის დაცვით მიიღწევა.

ტრენინგები

- **ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA):** 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივლისამდე პერიოდში, ამერიკის იურისტთა ასოციაციის ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგების სერია იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის, მცხეთის, რუსთავისა და გორის ბიუროების ადვოკატებისათვის. ტრენინგები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სასამართლო ექსპერტიზა; ექსპერტი მოწმის დაკითხვა; სისხლის სამართლის პროცესი; სასამართლო მართლწერის უნარ–ჩვევები; საპროცესო შეთანხმების დადებისას მოლაპარაკების უნარ–ჩვევები; სასამართლო უნარ–ჩვევები. გარდა ამისა, 2013 წლის ივნისში, თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებისათვის ჩატარდა სემინარი განგრძობადი იურიდიული განათლების საკითხებზე.

- **საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი:** 2013 წლის ივნისში, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს 2 ადვოკატი დაესწრო ტრენინგს, თემაზე: სტრუქტურირებული დაკითხვის მეთოდის მნიშვნელობა მსხვერპლი ან მოწმე ბავშვისგან სრული და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებისთვის. ტრენინგი ორგანიზებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, ევროკავშირის, Defence for Children International-ისა და ECPAT the Netherlands-ის მხარდაჭერით.
- **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი:** 2013 წელს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე: სახელმწიფო მართვა, შეფასების უნარების განვითარება, სამართლებრივი მართლწერა, სახელმწიფო მართვა ზედა რგოლის მენეჯერთათვის.
- **USAID / G3-ის** მხარდაჭერით აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები საჯარო მმართველობის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, პროექტების მართვაში, საჯარო სამსახურის ეთიკაში, საჯარო მმართველობაში, პრეზენტაციისა და საქმიანი წერის უნარებში, ღია მმართველობის საკითხებსა და სხვადასხვა სამართლებრივ თემებზე.
- **USAID / JILEP**-ის ორგანიზებით იურიდიული დახმარების სამსახურის რამდენიმე ადვოკატი დაესწრო ტრენინგების სერიას სისხლის სამართლის 9 თემაზე. სწავლებამ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორებიცაა სამართლებრივი დასაბუთება, კლიენტის კონსულტირება, მოლაპარაკება, სამართლებრივი წერა, მოწმეთა დაკითხვა, საქმის წარდგენა და მომზადება, მტკიცებულებების წარდგენა, ადვოკატირება სასამართლო დარბაზში და ადვოკატთა პრაქტიკული უნარები
- **UNICEF-ის და ევროკავშირის** ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ექვსმა იურისტმა მონაწილეობა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერთა სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრაზე განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხზე ტრენინგის ჩატარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. საუბარი შეეხო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის წარმოშობასა და მიზანს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებსა და დოკუმენტებს. ყურადღება გამახვილდა ტრენერთა უნარებსა და ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგიაზე. მონაწილეებმა შეასრულეს პრაქტიკული სავარჯიშოები და ტრენინგის მოდელირება მოაწყვეს.
- **ევროკავშირი / Human Dynamics:** 2013 წლის ნოემბერში, ყვარელში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ეფექტური კომუნიკაციისა და საჯარო გამოსვლის საკითხებს მიეძღვნა. სწავლებას დაესწრნენ ადვოკატები და კონსულტანტები მცხეთის, თელავის, გორის, ახალციხის, ზუგდიდისა და ფოთის ბიუროებიდან. ღონისძიება ევროკავშირის პროექტის – „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა“ – ფარგლებში ჩატარდა. სამდღიან ტრენინგს ფსიქოლოგი, ვაჟა კვერნაძე, უძღვებოდა. მან ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კომუნიკაციის დონეები და ტექნიკა, შეტყობინებები კომუნიკაციაში, არავერბალური კომუნიკაცია, პრეზენტაციის ტექნიკა, ეფექტური სატელევიზიო გამოსვლის ფაქტორები და სხვა. ტრენინგის მონაწილეებმა სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოც შეასრულეს. გადამზადებული იურისტები სატელევიზიო გადაცემებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობას შეძლებენ.
- **ადვოკატთა ასოციაციისა და ევროსაბჭოს** ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ოთხმა იურისტმა გაიარა ტრენინგი ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის ეროვნულ დონეზე გამოყენებისათვის.

იურიდიული კლინიკა

უკვე მეექვსე წელია იურიდიული დახმარების სამსახური, იურიდიული კლინიკების პროექტს ახორციელებს. პროექტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტების (სამართლის სკოლების) სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურში მაღალკვალიფიციური კადრების რეკრუტირება.

ყოველწლიურად იურიდიული დახმარების ბიუროების ბაზაზე მოქმედ კლინიკებში პრაქტიკას ოცდაათამდე სტუდენტი გადის. სტაჟირების შესაძლებლობა თბილისსა და რეგიონებში მოქმედ უნივერსიტეტებთან არსებული შეთანხმებების თანახმად, ამ უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ. აღსანიშნავია, რომ, 2009–2011 წლებში, რამდენიმე წარმატებული პრაქტიკანტი იურიდიული დახმარების სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდა.

იურიდიული კლინიკის პროგრამის მიხედვით, სტაჟიორები, საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, რეალურ კლიენტებს ხვდებიან და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებსაც ამზადებენ. გარდა ამისა, მათ სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სხვა ორგანოებთან პროფესიული ურთიერთობის საშუალება ეძლევათ. პროგრამის დასკვნით ფაზაზე სტუდენტები მონაწილეობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესში, რაც ხელს უწყობს პრაქტიკანტებს, წარმოაჩინონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკული უნარ–ჩვევები, სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება და თეორიული ცოდნა.

2013 წლის გაზაფხუილის სემესტრის დროს, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროში სტაჟირება ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტებმა გაიარეს. ისინი მუდმივად ესწრებოდნენ ტრენინგებს. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ტრენინგი სასამართლო უნარ–ჩვევების საკითხზე ჩატარდა 2013 წლის ივნისში. სწავლებას იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველოს უფროსი, ირაკლი შონია უძღვებოდა. მან ისაუბრა საკითხებზე: შესავალი სიტყვა, პიდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა, მოწმის იმპიჩმენტი, დასკვნითი სიტყვა, ასევე, საადვოკატო ეთიკის საკითხები და სხვა. სტუდენტებმა პრაქტიკული სავარჯიშოები შეასრულეს.

2013 წლის სექტმებერში იურიდიული კლინიკის დებულება განახლდა. ოქტომბერში კი თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე—ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი.

2013 წლის შემოდგომის სემესტრის დროს, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის ფაგლებში სტაჟირება გაიარა 7 სხვადასხვა უნივერსიტეტის 35—მა სტუდენტმა. სტაჟიორებს ჩაუტარდათ ტრენინგები ადვოკატის პროფესიული ეთიკის, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებებისა და სასამართლო ადვოკატირების უნარ—ჩვევების თემებზე. სტაჟიორთა მონაწილეობით მოეწყო იმიტირებული სასამართლო პროცესი. სტუდენტებს გადაეცათ სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები

2013 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა დაასრულა რამდენიმეწლიანი მუშაობა „სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესებზე“.

სახელმძღვანელო წესების მიზანია, უზრუნველყოფილ იქნას უფასო, დროული და კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა. დოკუმენტი ადგენს საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის რეკომენდებულ ნორმებს, რომლებიც დაცვის განხორციელების პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის როლს, დასაცავ პირსა და მის ახლობლებთან ურთიერთობებს, დაცვის მომზადების საკითხებს, გამოძიებისა და სასამართლო განვილხვის ეტაპებზე განსახორციელებელ მოქმედებებს, არასრულწლოვანი პირის დაცვის თავისებურებებსა და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოებას ეხება. დოკუმენტი ადვოკატთა შესახებ კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს ეყრდნობა.

დოკუმენტის შემუშავება იურიდიული დახმარების სამსახურში შიდა დისკუსიის პროცესში, საზოგადოებრივი ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა. ფინალურ სტადიაზე, სახელმძღვანელო წესების შემუშავებაში ადვოკატთა ასოციაცია ჩაერთო. 2013 წლის თებერვალსა და მაისში, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის დახმარებით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრები, რომელთა შედეგად მხარეები დოკუმენტის ტექსტზე საბოლოოდ შეჯერდნენ.

2014 წელს დაიწყება სახელმძღვანელო წესების პილოტირება, რის შემდეგ იგეგმება, რომ ეს ნორმები საზოგადოებრივი ადვოკატების შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი გახდეს.

ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემა

2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველომ საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემის პილოტირება განახორციელა. მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტებმა მცხეთის, გორისა და რუსთავის ბიუროებში ვიზიტების სერია დაგეგმეს და ადვოკატთა საქმიანობა ადგილზე შეამოწმეს.

შეფასების სისტემა რამდენიმე კომპონენტიანია და მოიცავს: პროფესიულ უნარებს, პიროვნულ და საქმიან თვისებებს, სისხლის სამართლის საქმეზე მიღწეული შედეგს, ადვოკატის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს, დასაცავი პირის მიერ ადვოკატის საქმიანობის შეფასებას.

პილოტირების ფარგლებში, მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტები გაეცნენ დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების მასალებს, ასევე მიმდინარე სასამართლო პროცესებს დაესწრნენ. გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, 2014 წელს იგეგმება შეფასების სისტემის დახვეწა.

საზოგადოებრივი ურთიერთობები: თანამშრომლობა სახელმწიფო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან

სოციალური მუშაკები უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს გაეცნენ

2013 წლის ივნისში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, მელიტონ ბენიძე იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი დახმარების შესახებ იმ სოციალური მუშაკების ინფორმირება, რომლებიც ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციაზე მუშაობენ.

შეხვედრის დროს, სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა პრობლემებზე მუშაობისას, ხშირად აწყდებიან იურიდიულ საკითხებს, რომელთა მოსაგვარებლად საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, გამოითქვა მოსაზარება, რომ სოციალურმა მუშაკებმა გაიარონ შესაბამისი მომზადება და იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა მათ აქტუალურ სამართლებრივ თემებზე ტრენინგები ჩაუტარონ.

მართლაც, 2013 წლის ივლისში, სოციალურ მუშაკებს ჩაუტარდათ სემინარი სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირებისათვის აქტუალური სისხლის სამართლის საკითხების შესახებ. სემინარის ფარგლებში, იურისტებმა – ლევან ჯორბენაძემ და ნინო მჭედლიშვილმა განიხილეს ისეთი თემები, როგორებიცაა: პირობით ვადამდე გათავისუფლება, პირობითი მსჯავრის გაუქმება, ნასამართლობის მოხსნა, განაჩენის გასაჩივრების ეტაპები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტზე, რომელიც მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნას ითვალისწინებდა.

სოციალური მუშაკებისთვის სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის გაღრმავება განსაკუთრებით მნიშნველოვანია, რადგან სწორედ სოციალური მუშაკების მეშვეობით ხორციელდება ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციის პროცესი. ისინი ყოფილ მსჯავრდებულთან ერთად ადგენენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას (არასრულწლოვნის შემთხვევაში ერთვება კანონიერი წარმომადგენელიც) და მონიტორინგს უწევენ მის განხორციელებას. სოციალური მუშაკებისა და ყოფილი მსჯავრდებულის თანამშრომლობა ექვსი თვის მანძილზე გრძელდება.

დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრმა ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია–რეაბილიტაციის პროგრამა 2012 წლის ბოლოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით დაიწყო. მისი მიზანი საქართველოს პარლამენტის მიერ ამნისტირებული მსჯავრდებულების დახმარებაა. პროგრამა გულისხმობს მსჯავრდებულების რესოციალიზაცია–რეაბილიტაციას ფსიქოლოგიური დახმარების, სოციალური უნარების განვითარების, დასაქმებაში ხელშეწყობის, კომპიუტერული უნარების კურსის გავლისა და სხვა სერვისების გამოყენების გზით.

იურიდიული კონსულტაცია პრობაციონერებისათვის

2013 წლის მარტსა და ივლისში, იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს–ზუგდიდის ბიუროს ადვოკატებმა წალენჯიხაში, ხობსა და ზუგდიდში მცხოვრებ პრობაციონერებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. შეხვედრები საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის – „აფხაზეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატემა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პირობითი მსჯავრი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ჩამორთმეული უფლებების აღდგენის საკითხები, შეწყალება, ნასამართლობის მოხსნა და სხვა. პირობით მსჯავრდებულები ასევე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს გაეცნენ.

შეხვედრას ეწრებოდნენ ის პრობაციონერები, რომლებიც ცენტრ „აფხაზეთის“ ხელშეწყობით პროფესიული გადამზადების კურსებს გადიოდნენ.

სამუშაო შეხვედრები სამეგრელოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს–ზუგდიდის ბიურო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყოს ჩართული სამეგრელოს რეგიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, რომელიც სახალხო დამცველის კოორდინაციით იმართებოდა. ყოველთვიურ სამუშაო შეხევდრებს სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე გამახვილდა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდისა და ფოთის ბიუროები დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში პერიოდულად მართავდნენ გასვლით კონსულტაციებს, რომელთა ფარგლებშიც მოსახლეობას ადგილზე აწვდიდნენ სამართლებრივ რჩევებს და საინფორმაციო ბუკლეტებს ურიგებდნენ. ამ ბიუროებში უფასო იურიდიული კონსულტაციებით კი 1100–ზე მეტმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა ისარგებლა.

სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში მონაწილეობა

სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №591–ის საფუძველზე შეიქმნა. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ამოცანებია: საქართველოში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით სისხლის სამართლის რეფორმის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის შემუშავება და პერიოდული განახლება; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; სასჯელაღსრულების, პრობაციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, იურიდიული დახმარების სფეროებს მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

2013 წლის დასაწყისში, სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში, განახლდა იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგია, რომელიც 2013–2017 წლებს მოიცავს. სტრატეგიაზე მუშაობა ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების და თავად იურიდიული დახმარების ბიუროების აქტიური მონაწილეობით წარიმართა.

2013 წლის თებერვალში, თბილისში, სასტუმროში „ამბასადორი“ გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც იურიდიული დახმარების რეფორმის ახალ სტრატეგიას მიეძღვნა. შეხვედრას იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები, ასევე მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების

წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს სტრატეგიული მიზნები, როგორებიცაა იურიდიული დახმარების სამსახურის გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ასევე – უფასო სამართლებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა. სტრატეგიასთან ერთად, განახლდა სამოქმედო გეგმაც.

აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორის საბჭოს ფარგლებში მოხდა როგორც იურიდიული დახმარების სტრატეგიის განახლება, ისე იმ კანონპროექტის შემუშავება, რომლის მიხედვით იურიდიული დახმარების სამსახური დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად უნდა ჩამოყალიბებულიყო. უწყებათაშორის საბჭოსთან მოქმედმა იურიდიული დახმარების თემატურმა სამუშაო ჯგუფმა კანონპროექტზე მუშაობა ივნისისთვის დაასრულა და დოკუმენტი განსახილველად მთავრობას გადასცა.

უწყებათაშორისმა საბჭოს საქმიანობის შედეგები 2013 წლის 12 ოქტომბერს, კონფერენციაზე შეაჯამა. აღნიშნულ ღონისძებაზე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი მოხსენებით წარსდგა. მან აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს იურიდიული დახმარების სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები წარუდგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესები გაიმართა

იურიდიული დახმარების სამსახური სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე არა მხოლოდ სტაჟირების პროგრამის მეშვეობით, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციებთან პატნიორობით, იმიტირებული სასამართლო პრეცესების ორგანიზებით ზრუნავს.

2013 წლის ივნისში, „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია – ქუთაისის“ (ELSA) ინიციატივით, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა რამდენიმე იმიტირებული სასამართლო პროცესები გამართეს. პროცესებისათვის დაცვის მხარის მომზადება იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიურომ უზრუნველყო.

ერთ–ერთი პროცესი დაცვის მხარის გამარჯვებით დასრულდა. ნაფიცმა მსაჯულებმა, ცხრა ხმით, ერთის წინააღმდეგ, გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს. პროცესის დასრულების შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო შესავალი სიტყვა, საუკეთესო დაკითხვა და საუკეთესო დასკვნითი სიტყვა. სამივე ნომინაციაში იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადებულმა სტუდენტებმა გაიმარჯვეს. მთავარი პრიზიც დაცვის მხარეს ერგო.

აღსანიშნავია, რომ იურდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიუროსა და ELSA–ქუთაისს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, სამმა სტუდენტმა ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში სამთვიანი პრაქტიკა გაიარა.

სემინარები საჯარო სკოლებში

2013 წელს, საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში, მართლმსაჯულების თემაზე უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის 40–მდე სემინარი ჩატარდა. შეხვედრები საზოგადოების ამ ჯუგფში მართლშეგნების ამაღლებას და დანაშაულის პრევენციას ემსახურებოდა.

სემინარების ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატები უფროსკლასელ მოსწავლეებს აცნობდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამართლებრივი კულტურა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, არასრულწლოვანთა უფლებები, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სამართლის დარგები, დანაშაულის სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ტოლერანტობა და დისკრიმინაცია, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები და სხვა.

2013 წელს ამგვარი სემინარები ჩატარდა თბილისის №186 და №150 საჯარო სკოლებში, წყალტუბოს №4 და ამავე რაიონის სოფელ მაღლაკის, გვიშტიბისა და წყალტუბოს საჯარო სკოლებში, თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საჯარო სკოლაში, აბაშის №1 და №2, ასევე ამავე რაიონის კერძო სკოლაში „ხელოსანი–95“ და სოფ. მარანის საჯარო სკოლაში, მცხეთის რაიონის სოფლების ნიჩბისის, მუხრანისა და წილკნის საჯარო სკოლებში, ბათუმის №18, გორის №7 და კასპის №3 საჯარო სკოლებში, ახმეტის რაიონის სოფლების აწყურის, ალავერდისა და ოჟიოს საჯარო სკოლებში, წალენჯიხის №1, №2, №3, №4 და ამავე რაიონის სოფ. ეწერის საჯარო სკოლებში, ხარაგაულის №2 და ზესტაფონის №3 საჯარო სკოლებში, ასევე დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის საჯარო სკოლაში.

გასვლითი კონსულტაციები რეგიონებში

2013 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ახორციელებდნენ გასვლით კონსულტაციებს დევნილთა კომპაქტურ დასახლებებსა და ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში. სულ განხორციელდა 21 ვიზიტი, რომელსაც, 300–მდე დევნილი დაესწრო.

ვიზიტები განხორციელდა საქართველოს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ფრეზეთის დევნილთა დასახლება (მცხეთის რაიონი); თელიანის და მეტეხის დევნილთა დასახლებები, (კასპის რაიონი); ფოთის დევნილთა დასახლების (ახალი რაიონი) №9 და №10 კორპუსები; ფოთის დევნილთა დასახლების (ახალი რაიონი) №11, №13, №18 და №20 კორპუსები; ქ. აბაშის დევნილთა კომპაქტური დასახლება; თელავის დევნილთა კომპაქტური დასახლება; ჩხოროწყუს პროფესიული სასწავლებლის და საბავშვო ბაღების დევნილთა დასახლება; თბილისში – ისნის რაიონში, ყოფილ სამხედრო ჰოსპიტლის დევნილთა და სოციალურად დაუცველთა დასახლება; ბაზალეთის დევნილთა დასახლება (დუშეთის რაიონი); საზღვრისპირა სოფელი ძევერა (გორის რაიონი); მარტვილის რაიონის სოფლები – ტალერი და კურზუ; გორის რაიონის კარალეთის დევნილთა დასახლება; ქ.ფოთის დანელიას და სევასტოპოლის ქუჩებზე არსებული კოლექტიური ცენტრები; მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის დევნილთა დასახლება, კასპის რაიონის სოფელი ლამისყანა; ქ. აბაშისა და ქ. სენაკის დევნილთა კომპაქტური დასახლებები.

2013 წლის სექტემბერ–ნოემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფლებში პატრიკეთის თემში გამართეს.

შეხვედრების ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატები მოქალქეებს ესაუბრებოდნენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხების შესახებ. ყურადღება მახვილდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საწარმოო ტრამვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საბანკო კრედიტი, მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის წესები, მეუღლეთა კანონით დადგენილი ქონებრივ უფლებები და მოვალეობები, შვილად აყვანის წესი, ასევე სახელმწიფოს როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში. მოსახლეობა განსაკუთრებით ინტერესდებოდა სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო პროცედურებით.

ამგვარი ვიზიტები მოეწყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში – მაღლაკში, ფარცანაყანებსა და პატრიკეთში, ასევე ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში – გუბში, მათხოჯში, გოჩა ჯიხაიშსა და ნახახულევში.

წლის სხვადასხვა პერიოდში, იურიდიული დახმარების ბიუროების ორგანიზებით გასვლითი კონსულტაციები მოეწყო მარნეულის, გარდაბნის, წალკის, კასპის, ყვარლისა, ბოლნისის, აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

2013 წლის 28 მარტს, ქუთაისში, სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით იმერეთის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. შეხვედრას იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიურომ უმასპინძლა.

სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი დახმარების შესახებ პრეზენტაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს უფროსმა, გელა სიორდიამ, გამართა. მან აღნიშნა, რომ ქუთაისსა და ზესტაფონში მოქმედ ბიუროებში სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებით სარგებლობა, სამართლის სხვა დარგებში კი კონსულტაციის მიღებაა შესაძლებელი. თავიანთი ორგანიზაციების მიერ გაწეულ საქმიანობაზე ისაუბრეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს, გაეროს ქალთა ფონდის, სამართლისა და თავისუფლების, ფონდ „სოხუმის“, GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის, სახალხო დამცველისა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლებმა. შეხვედრის მონაწილეებმა თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი გამოთქვეს.

2013 წლის 8 აპრილს, ქუთაისში, იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ქუთაისის ბიურომ და კულტურულ–ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმი“ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. შეთანხმება ითვალისწინებდა ორი ორგანიზაციის კოორინირებულ მოქმედებას იძულებით გადაადგილებულ პირთა და ქალთა უფლებების დაცვის, ასევე ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით. მხარეებმა დასახეს თანამშრომლობა აღნიშნული თემების ადვოკატირების, სამოქალაქო ფორუმების ორგანიზებისა და თვითმმართველობასთან დიალოგის საკითხებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ამით არ შემოფარგლულა. 2013 წლის 7 მარტს, იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროში, ოჯახში ძალადობის თემაზე, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას საზოგადოებრივი ადვოკატები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის” და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრის მიზანი იყო ოჯახში ძალადობის კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობის განხილვა, ასევე პრობლემის მოსაგვარებლად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა.

იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რომელბიც აფერხებენ ძალადობის მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით კი – არასრულწლოვნებისათვის, დროული დახმარების გაწევას. კერძოდ, სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ყველაზე ხშირი კონტაქტი აქვთ ბავშვებთან, თავს იკავებენ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციასთან თანამშრომლობისაგან ოჯახში ძალადობის ფაქტებზე. გარდა ამისა, სპეციალურად შექმნილი დაწესებულებები მხოლოდ დროებით თავშესაფარს უზრუნველყოფენ,

შემდეგ კი ძალადობის მსხვერპლს უწევს ისევ ოჯახში, მოძალადესთან დაბრუნება. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი ღონისძიებები.

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან

2013 წლის მარტში, იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის–ზესტაფონისა და სამცხე–ჯავახეთის ბიუროებმა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს.

იმერეთის–ზესტაფონის ბიუროს იურისტები ზესტაფონის მუნიციპალური გამგეობის განახლებულ შემადგენლობასთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივ თვითმმართველობისა და იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლობის გაძლიერება მოსახლეობის სამართლებრივი პრობლემების მოგვარების საკითხში. საუბარი შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციულ მოწყობას, სტრუქტურულ ერთეულებს შორის უფლებამოსილების განაწილებას, ადმინისტრაციული წარმოების წესებს, შრომის კანონმდებლობის საკითხებსა და სხვა. შეხვედრის მონაწილეები ამგვარი ღონისძიებების რეგულარულად გამართვაზე შეთანხმდნენ.

მოსახლეობის პრობლემებზე საუბრისას, იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა, გელა ბერაძემ, აქტუალურ საკითხებს შორის დაასახელა საოჯახო ურთიერთობები, მემკვიდრეობა, საკუთრების უფლების დაცვა, შრომითი ურთიერთობები, მიწის დავები, საგადასახადო და სოციალური პრობლემები.

ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა სამცხე–ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებაც გამართეს. ბიუროს უფროსმა დავით ზარიძემ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ტერიტორიული ორგანოების ახალ მუშაკებს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკა გააცნო.

იურიდიული დახმარების ბიუროები და ადგილობრივი თვითმმართველობები აქტიურად თანამშრომლობენ მოსახლეობის სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიკაციის საკითხზე. გარდა ამისა, გამგებლები და სოფლის რწმუნებულები იურიდიული დახმარების სამსახურს მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებაში ეხმარებიან.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობენ

2013 წელს, იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის ფარგლებში, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ შემდეგ დოკუმენტებზე: *ქცევის კოდექსის მოდელი იურიდიული დახმარების ადვოკატებისათვის სისხლის სამართლის საქმეებში* და *სისხლის სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის სტანდარტები.* სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების სტანდარტებზე. ამ მიზნით სამუშაო შეხვედრები კიევში, თბილისსა და კიშინიოვში ჩატარდა. სხვადასხვა დროს მათ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, მელიტონ ბენიძე და ამავე სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველოს უფროსი, ირაკლი შონია დაესწრნენ.

სამი ქვეყნის სამართლებრივი დახმარების სფეროს ექსპერტები განიხილავდნენ სამოდელო სტანდარტებს, რომელთა საფუძველზეც, სამივე სახელმწიფოში, იგეგმება სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების შიდაეროვნული პროფესიული სტანდარტების დახვეწა.

ექსპერტები მსჯელობდნენ სამოდელო სტანდარტების სტრუქტურასა და დოკუმენტის შინაარსზე, რომელიც ზოგად პრინციპებს, კლიენტთან კომუნიკაციას, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის სპეციფიკას და სხვა საკითხებს მოიცავს.

იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელი (LARN) წარმოადგენს ორგანიზაციებსა და პირებს შორის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო ქსელს, რომელნიც მუშაობენ იურიდიული დახმარების მიღების და ეფექტური დაცვის უფლების უზრუნველყოფისათვის. LARN ეფუძნება ღია საზოგადოება სამართლებრივი ინიციატივის გამოცდილებას, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების რეფორმებს და რომელმაც შექმნა სახალხო დამცველთა და იურიდიული დახმარების მენეჯერთა არაოფიციალური ქსელი ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით. ქსელი უზრუნველყოფს ვირტუალურ პლატფორმას პოლიტიკოსებისათვის და იურიდიული სფეროს პრაქტიკანტებისათვის, რომ მოხდეს გამოცდილების გაცვლა და თანამშრომლობა იურიდიული დახმარების ახლადშექმნილი სისტემების შემდგომი განვითარებისათვის.

დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა

იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა

2013 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიმართულებით. წლის ბოლოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც გზა გაუხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებას. იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების სისტემებში ექვსწლიანი ფუნქციონირების შემდეგ, სამსახურს და მასში დასაქმებულ ადვოკატებს დამოუკიდებლობის ძლიერი გარანტიები მიეცათ. კანონმდებლობამ, ასევე, შექმნა უფრო ეფექტიანი მექანიზმები სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებების თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გამოეყო და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) ჩამოყალიბდა.

მნიშვნელოვანი სიახლე შემოვიდა იურიდიული დახმარების სისტემის ადმინისტრირების კუთხითაც. იურიდიული დახმარების სამსახური სამართავად გადაეცა 9–წევრიან საბჭოს, რომელშიც ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრი, ასევე იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია–ს, სამეცნიერო სფეროსა და იურიდიული დახმარების ბიუროების თითო წარმომადგენელი შევიდა. საბჭოს წევრთა უფლებამოსილება, გარდა იურიდიული დახმარების ბიუროების წარმომადგენლისა, 4 წლით განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილებები 2014 წლის 27 იანვრიდან ამოქმედდა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სისტემის მოწყობის საკითხი დღის წესრიგში არაერთხელ დამდგარა. თავდაპირველად, 2007 წელს, იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა. სამსახურის სტატუსზე მსჯელობა განახლდა მას შემდეგ, რაც პროკურატურა იუსიტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებად გარდაიქმნა და ამით დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი გაჩნდა. ამის გათვალისწინებით, 2009 წელს შეიქმნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, რომელმაც სახელმწიფოს ხარჯზე არსებული სამართლებრივი

დახმარების სისტემის კოორდინაცია ითავა. თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება ამ მოდელმაც ვერ შეძლო.

ერთი სამინისტროს სისტემაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საგამოძიებო ორგანო და იურიდიული დახმარების სამსახური მოექცა. ეს განსაკუთებულ საფრთხეს ქმნიდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი იცავდა მსჯავრდებულს, რომელიც არასათანადო მოპყრობის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უჩიოდა, ხოლო ფაქტს სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებდა. ეს პირდაპირ ეწინააღდეგობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დანერგილ სტანდარტებს.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაპირისპირება უწევდა მაშინ, როცა მსჯავრდებულის მიმართ ციხეში დისციპლინური სახდელის დაკისრება იხილებოდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილი ახალი მთავრობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან იურიდიული დახმარების სამსახურის გამოყოფისა და ამ სამსახურის სტატუსის ახლებურად განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა. სამსახურის ახალი სტატუსის შესახებ კანონპროექტი იუსტიციის და სასჯელაღსრულების სამინისტროების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით მომზადდა.

ფინანსური ანგარიში 2013





იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)
მის: რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: +995(32)2920055;
ფაქსი: +995(32)2988493
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა, მე-3 სართ (შესასვლელი პასტერის ქუჩიდან)
ტელ: +995(32)2954474; 2954475;
მობ: +995(595)364410
ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ალუდა ბუჩუკური
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: +995(32)2513873
მობ: +995(595)901705
ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: +995(350)271538
მობ: +995(595)901707
ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(341)241425
მობ: +995(595)901706
ელ-ფოსტა: ijamaspishvili@legalaid.ge

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი
მის: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: +995(370)279556
მობ: +995(595)901704
ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ.№17
ტელ: +995(265)220735
მობ: +995(599)722176
ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: +995(492)253637
მობ: +995(595)364441
ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: გელა სიორდია
მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3
ტელ: +995(431)253411
მობ: +995(595)901700
ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: რონამ კეიდია
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: +995(415)253472
მობ: +995(595)901702
ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: ნათია ბოჯგუა
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: +995(493)243332
მობ: +995(595)901703
ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე
მის: ბათუმი, ბარათაშვილის №27, ბინა 3
ტელ: +995(422) 242449
მობ: +995(595) 901701
ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი
მის: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ.
ტელ: +995(496)275992
მობ: +995(595)308850
ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: თეა ჩიკვაიძე
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847
ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597
ელ-ფოსტა: vbalakhadze@legalaid.ge

წალკის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი
მის: წალკა, არისტოტელეს №22
მობ: +995(599) 090091
ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ნინო პაპაშვილი
მის: მარნეული, რუსთაველის №73
მობ: +995(577) 124428
ელ-ფოსტა: npapashvili@legalaid.ge

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ავთანდილ ჯაფარიძე
მის: მესტია, სეტის მოედანი №19
მობ: +995(551)201947; +995 (599)294477
ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge